დანართი **№1**
დამტკიცებულია
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
განათლებისა და
კულტურის მინისტრის
2018 წლის **12**
თებერვლის
№ 66 / ძ ბრძანებით

,,კულტურულ ფასეულობათა დაცვისა და პოპულარიზაციის პროგრამის"
ქვეპროგრამის
„სამეცნიერო კონფერენცია" (ქვეპროგრამის კოდი **06/10/01**)

დებულება

1. მიზნები და ამოცანები

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს (შემდეგში-სამინისტრო) საქმიანობის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს აფხაზეთის კულტურული ფასეულობების დაცვასა და პოპულარიზაციაზე ზრუნვა. ამ მიზნით სამინისტრო ახორციელებს „აფხაზეთის კულტურულ ფასეულობათა დაცვისა და პოპულარიზაციის პროგრამას", რომლის ფარგლებშიც არაერთი ქვეპროგრამა ხორციელდება, მათ შორისაა ქვეპროგრამა - „სამეცნიერო კონფერენცია", რომლის ფარგლებშიც გაიმართება კონფერენცია თემაზე: ,,კულტურული მემკვიდრეობა კონფლიქტურ ტერიტორიებზე".

სახელმწიფო პოლიტიკიდან გამომდინარე-ქართული კულტურული ფასეულობების დაცვა არის ქვეყნის ერთ-ერთი ფუნდამენტალური ღირებულება, რომელსაც მსოფლიოს მასშტაბით ყველაზე დიდი საფრთხე ექმნება კონფლიქტურ ტერიტორიებზე. შესაბამისად აუცილებელი გახდა ამ მიმართულებით ფართო მსჯელობების დაწყება და გამოსავლის ძიება. კერძოდ, კონფერენციის მიზანია რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე (მოძრავი და უძრავი) ინფორმაციის დამუშავება, მათი წარსულისა და ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ მსჯელობა და ნაშრომების შექმნის წახალისება.

სამეცნიერო კონფერენციის მასალები გამოიცემა და დაურიგდებათ ავტორებს, გავრცელდება სამეცნიერო წრეებში, დაეგზავნება საქართველოს მსხვილ ბიბლიოთეკებს, საუნივერსიტეტო და აფხაზეთის ა/რ საჯარო სკოლების სამკითხველოებს.

2. კონფერენციაში მონაწილეობა:

კონფერენციაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ შესაბამის სფეროში მომუშავე მეცნიერებს, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, დოქტურანტურისა და მაგისტრატურის სტუდენტებს, დარგის სპეციალისტებს, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამთავრობო უწყებების წარმომადგენლებს.

3. კონფერენციაში მონაწილეობის პირობები:

- კონფერენციაში მონაწილეობის მსურველებმა უნდა გაირონ რეგისტრაცია, კონფერენციაში მონაწილეობის მიღების მსურველთა სარეგისტრაციო ანკეტის მეშვეობით.

- კონფერენციაში მონაწილეობის მსურველს სარეგისტრაციო ანკეტის მიღება შეუძლია სამინისტროში, ქვეპროგრამის კოორდინატორთან, ან სამინისტროს ვებ-გვერდიდან ჩამოტვირთვით.
- კონფერენციაში მონაწილეობის მსურველებმა სარეგისტრაციო ანკეტა უნდა წარმოადგინონ 2018 წლის 01 მაისამდე ელექტრონულ მისამართზე (abculture@meca.gov.ge) ან აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროში.
- გამოსაცემი ნაშრომის წარმოდგენა შესაძლებელია სამინისტროში (ელექტრონული სახით CD დისკით) ან ელექტრონულ ფოსტაზე გადმოგზავნით (abculture@meca.gov.ge).
- ნაშრომების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2018 წლის 20 მაისი.
- მომხსენებლები მოახდენენ თავისი ნაშრომის პრეზენტაციას კონფერენციაზე.
- კონფერენციის გამართვის ზუსტი თარიღი და ადგილი მონაწილეებს ეცნობებათ დამატებით.

4. დამატებითი მოთხოვნები:

- სასურველია მონაწილემ მოხსენების პარალელურად წარმოადგინოს შესაბამისი ვიზუალური მასალა-სლაიდებით (PowerPoint)
- კონფერენციის მოხსენების რეგლამენტი 15 წთ.

5.გამოსაცემი ნაშრომის წარმოდგენა

გამოსაცემი ნაშრომის წარმოდგენა უნდა მოხდეს შემდეგი წესების დაცვით:

- ფონტი - sylfaen;
- ფურცლის ზომა- A4;
- შრიფტის ზომა - 12;
- ინტერვალი - 1,5;
- დასაბეჭდი ნაშრომის მოცულობა- არანაკლებ 1000 და არაუმეტეს 1500 სიტყვისა.
- ნაშრომს უნდა დაერთოს თემის რეზიუმე ინგლისურ ენაზე არანაკლებ 100-120 სიტყვისა.

ნაშრომში გამოყენებული ინფორმაციის წყარო უნდა მიეთითოს იმავე გვერდზე სქოლიოს სახით, ასევე ნაშრომის ბოლოს, ანბანური თანმიმდევრობით, ავტორის გვარის პირველი ანბანური ნიშნის მიხედვით.

სამინისტროს კოორდინატებია:

მისამართი: ქ. თბილისი, უზნაძის ქ. 68.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო.

სამინისტროს ვებ-გვერდი: www.meca.gov.ge

სამინისტროს ელ.ფოსტის მისამართი: abculture@meca.gov.ge

ქვეპროგრამის კოორდინატორი: გიორგი პატაშური, საკონტაქტო ტელეფონი: (+995) 99 16 80 17).